ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების არსებითი პირობები

თამარი მეხაშიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან მითითებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარი მეხაშიშვილი _____

(ხელმოწერა)

თარიღი: 03.07.2015

აბსტრაქტი

დაზღვევა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინტერესები სდაცვის უნივერსალური საშუალებაა. მნიშვნელოვანია, სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილე კარგად იყოს ინფორმირებული სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების დროს.ნაშრომში განხილულია ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების არსებითი პირობები და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.მათი გაანალიზებაგანხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით ქართული კანონმდებლობისა და სხვადასხვა ლიტერატურის დახმარებით. შედეგად განსაზღვრულია დაზღვევის პრინციპები, რისკები, რეგულირების სისტემა, დაზღვევის ფორმები, სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამები და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების პირობების ჩამოყალიბებაზე.

ნაშრომის მიზანია საზოგადოებას გააცნოსჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების არსებითი პირობების მნიშვნელობა, გავლენის მქონე ფაქტორები და მასთან დაკავშირებული სირთულეები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დაზღვევა, ჯანმრთელობის დაზღვევა, ხელშეკრულება, არსებითი პირობები, დაზღვევის რისკი, დაზღვევის ფორმები, სავალდებულო დაზღვევა, ნებაყოფლობითი დაზღვევა, სადაზღვევო პოლისი, სადაზღვევო პროგრამები, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა, სახელმწიფო დაზღვევა.

Abstract

The health insurance is the universal means of protection of health-related interests . It is important, that the participant be informed about the insurance contrac when signing the agreement.The paper discusses the health insurance, its agreements and important issues. The analysis was implemented by using the method of the qualitative research, Georgian laws and the various literature. As a result is determined the following issues: The principles of insurance, risks, the regulation of the system, the forms of insurance, the State health insurance programs, and more important questions which are affecting on the health insurance contract terms.

The aim of this thesis is to bring to light the Essential Health Benefits,their impacts and other related difficulties.

Key Words: Insurance, health insurance, agreement,the essential conditions, risk of insurance, forms of insurancce, compulsory insurance,voluntarily insurance, an insurance policy, participants of insurance, health insurance programs,the universal health care,the state insurance.